წლიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 16 მარტი, 1921 წ.

№ 12 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციების და წევრების საყურადღებოთ

ს. კ. პ. ც. კ. აუწყებს პარტიის ყველა წევრებს, რომ ამა წლის 20 მარტიდან ს. კ. პ. ყველა ორგანიზაციები დაშლილად ითვლებიან და იწყება პარტიის წევრების და კანდიდატების რეგისტრაცია. პარტიის პერერეგისტრაციის მიზანია—პარტიის ძალთა სწორი აღნუსხვა, განაწილება და გამოყენება, ამავე დროს განწმენდა პარტიისა ყველა კარიერისტულ და არა კეთილსაიმედო ელემენტებისაგან. პერერეგისტრაციის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ცეკასთან დაარსებულ სპეციალურ კომისიას. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ ანკეტას და შეტანილ იქნებიან წევრთა ახალ სიებში. ყველას, ვისაც მოეპოვება ამა თუ იმ კომუნისტის გამამხელებელი ფაქტები, ცეკა წინადადებას აძლევს ყოველივე ასეთი აცნობონ საპერეგისტრაციო კომისიას. პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან აღინუსხონ იმ ორგანიზაციაში, სადაც მუდმივად მუშაობენ. ვინც დროებით სხვაგან გაგზავნილია, უფლება აქვს აღინუსხოს დაბრუნებისას. პერეგისტრაციის დროს პარტიის წევრთა მიღება შეწყვეტილია.

მდივანი **ლ. დუმბაძე.**

საპერერეგისტრაციო კომისიისაგან.

პარტიის წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ ცხადდება, რომ პერერეგისტრაცია დაიწყება ა/წ. 20 მარტიდან. პარტიის წევრებს ევალებათ წარმოადგინონ თავიანთ სარაიონო კომიტეტებში:

1. განცხადება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ, ორის თავდებით, რომელნიც პარტიაში ირიცხებოდნენ ოქტომბრის გადატრიალებამდე.
2. საწევრო ბილეთი, ან საკანდიდატო ბარათი.
3. უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ბარათი.

შენიშვნა: 1) ს. კ. პ. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ სარეგისტრაციო ბარათებს.

შენიშვნა- 2) პარტიის წევრთა განცხადებების მიღება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ თავდება 25 მარტს.

ცენტრალური საპერეგისტრაციო კომისია.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 სიეზდი.

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა და მუშაობა დაიწყო რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 სიეზდმა. მეტად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო კითხვები უნდა გადაჭრას მან. რუსეთის რევოლიუცია და მისი აღმშენებლობა ბრძოლის ახალი ხანაში შევიდა: ეს არის ხანა სამეურნეო აღმშენებლობისა. ეკონომიური ფრონტი—მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აღიმართა რუსეთის რევოლიუციის მეთაურ პარტიის წინაშე და მისგან დაუყონებლივ სწორ, პრინციპიალურ გაშუქება—დიაგნოზს და შესაფერ პრაქტიკულ სამოქმედო ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. ეკონომიური ფრონტის საკითხები შარშან—მე 9 სიეზდის წინაშეც იდგა, მაგრამ აპრილის დამლევში დაწყებულმა პოლონეთთან ომმა და შემდგომ ვრანგელ-ბალახოვიჩ-პეტლიურას ავანტიურების ლიკვიდაციამ—ხელი შეუშალა ცხოვრებაში ნორმალურად ყოფილიყო გატარებული ის გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი, რომლებიც გამოიტანა მე 9 სიეზდმა. ომმა კიდევ მიიპყრო თავისკენ უმთავრესი ყურადღება და წაიყვანა საუკეთესო ძალები. ამ რიგათ ეკონომიური ფრონტის საკითხები—კიდევ აღმართენ მე-10 სიეზდის წინაშე და ამ სიეზდმა მათ სათანადო პასუხი უნდა გასცეს და შესაფერი გადასადგმი პრაქტიკული ნაბიჯები გამოიმუშაოს.

მე-10 სიეზდმა უნდა დაამთავროს და [illegible] მე-9 სიეზდის მიერ დაწყებული საქმე—ქვეყნის ეკონომიური აღმშენებლობისა. თავის-თავად ცხადია, რომ ამ რთულ და დახლართულ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც შექმნილია დღეს მთელ მსოფლიოში და რომელშიაც გარკვევა და სწორი გზის გამონახვა აგრეთვე საჭირო და აუცილებელია საბჭოთა რუსეთისათვის,—ასეთ მდგომარეობაში,—მე-10 სიეზდს მოუხდება პოლიტიკური ხასიათის საკითხების გაშუქება და გარკვევაც, ამ დარგში ძველი ნაბიჯების შეფასება და ახალის გამომუშავება. ეს ასეა...

მაგრამ, ვიმეორებთ, ეკონომიური ფრონტის საკითხები მაინც უმთავრესი იქნება და პირველ რიგში დაისმება.

რომ რუსეთი დღეს სერიოზულ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ეს ყველამ კარგათ ვიცით და, რომ ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს, ისიც კარგათ ვიცით. საბჭოთა რუსეთმა ერთხელ კიდევ უნდა დაჭიმოს ყველა თავისი სასიცოცხლო ძარღვები, უნდა აამუშაოს მთელი თავისი დაუშრეტი, დაულევი რევოლიუციონური—მოქმედი ენერგია, დასძრას ერთი მთლიანი ფრონტით ყველა თავისი საუკეთესო ძალები—უკანასკნელი, მაგრამ, მეტად სერიოზული, თავაშვებულ მტრის ეკონომიურ კრიზისის წინააღმდეგ. ამ კრიზისიდან საბჭოთა რუსეთმა რაც შეიძლება ჩქარა თავი უნდა დააღწიოს. და აი ამის საშუალებანი უნდა გამონახოს, ან და უკვე გამონახული, ცხოვრებაში უნდა გაატაროს—კომუნისტურ პარტიის მე-10 სიეზდმა. ეს მძიმე, განუზომელი მნიშვნელობის მქონე და დაუყონებლივ გადასაჭრელი ამოცანა—დაადვა რუსეთის რევოლიუციის ისტორიამ ამ სიეზდს გადასაჭრელად და იგიც ამას შესაფერად შეასრულებს.

საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელი მეთაური, გმირული კომუნისტური პარტია, დასძლევს ამ ეკონომიურ კრიზისს ისევე ბრწყინვალედ, როგორც მან სძლია პოლიტიკურ და სამხედრო კრიზისებსაც.

რუს. კომუნ. პარტიის მე-10 სიეზდი ღირსეულად გადაჭრის და შეასრულებს ისტორიის მიერ მასზე დავალებულ ამოცანას.

ილუზიებს ვერიდოთ.

მებრძოლი პარტია, ისეთი, როგორიც არის ჩვენი, უაღრესად რეალისტური უნდა იყოს, სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ ის რეალური პოლიტიკური ძალები, რომლებთანაც მას უხდება დაიკავოს აშკარა მტრული ან, ასე ვთქვათ, დროებით „კეთილ-მეზობლური“ დამოკიდებულება, მან პოლიტიკურ ფიქციებათ არ დასახოს, მათი ძალა არ დაამციროს ან, პირიქით, უსაფუძვლოდ არ გაზვიადოს. ჩვენ სირაქლემასავით თვალებს ვერ დავხუჭავთ, რომ საფრთხე, თუ ის ჩვენ მოგველის, არარაობათ გამოვაცხადოთ და, ამნაირათ, თავი მივცეთ ჩვენ „ამამაღლებელ ტყუილებს“.

მიუხედავათ საქართველოში მებრძოლ ძალების და მათი მდგომარეობის ფრთხილად აწონ-დაწონვისა, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენ პარტიას დღევანდელ რთულ პირობებში ისე, როგორც ეს მას სჩვევია წინათაც, მოიპოებიან აქა-იქ ჩვენ პარტიაში ან მასთან ახლო მდგომ წრეებში პირები, რომლებიც, ან საქმის საკმაო უცოდინარობით ან, როგორც იტყვიან, ჯოხის ერთ მხარეზე მეტის მეტი გადალუნვით, სრულიად ამახინჯებენ სახეს მოვლენისას, მის პერსპექტივებს და მით ხელს უწყობენ ჩვენი სამოქმედო ხაზის გამრუდებას.

ჯერ ჩვენ, „საზღვარ-გარეთელ“ ამხანაგებში, რამდენათაც მახსოვს, თვით ბაქოელ „კომუნისტ“-ის ფურცლებზე, გაკვრით გამოითქვა ერთხელ ის აზრი, თითქოს საქართველოს მმართველ მენშევიკურ პარტიაში ყოფილიყოს რაღაც „მემარცხენე“ (ჟორდანიას) და მემარჯვენე (რამიშვილის) მიმდინარეობა და სწარმოებდეს მათ შორის ბრძოლა. ხოლო სულ უკანასკნელ ხანებში, ამხ. ლენინის მიერ ჩვენი ტაქტიკური ხაზის შესახებ გამოთქმულ აზრების გამო, ზოგიერთმა ამხანაგებმა საკმაო ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი იმავე ჟორდანიას მემარცხენეობაზე. ასეთ აზრს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა და ბათუმში მომწყვდეულ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის შორის დღეს უკვე დაწყებულ საზავო მოლაპარაკების გამო.

ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ რომ ასეთი შეხედულება მენშევიკური პარტიის იმ კამარილიაზე, რომლის ორ დედა ბოძათ ითვლებიან ორი ხსენებული მოღვაწე, არ შეესაბამება სინამდვილეს და აშენებულია გაუგებრობაზე. კითხვაზე საბჭოთა რეჟიმთან დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს დღეს, არასოდეს განსხვავება არ ყოფილა მათ ლიტერატურულ ან პოლიტიკურ-პრაქტიკულ გამოსვლებში რამდენადაც ღირს საზოგადოთ მათ პერსონალურ შეხედულებებზე ლაპარაკის ჩამოგდება დღევანდელ პირობებში, როგორც ეს ზოგიერთებმა ინებეს. ზოგიერთ ჩვენი ამხანაგების ან მოამხანაგე ელემენტებისათვის და საზოგადოების იმ წრეებისთვის, რომლებსაც ეჭვი შეპარვიათ იმაში, რომ ნ. რამიშვილი თავის საგანგებო, უნდა ითქვას, საკმაოთ „დახელოვნებული“ რაზმის და ციხეების „არგუმენტებით“ იმავე საქმეს ემსახურებოდა, რასაც სიტყვით და მთელი თავის პოლიტიკით ნ. ჟორდანია; ყველა მათთვის საკმაოა მიუთითოთ ჩვენი მენშევიკების თეორიაზე და პრაქტიკაზე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კავკასიაში და კერძოთ ჩვენში. პირიქით ყოველი ჩვენი ცდისა და პოლიტიკური მუშაობის წინ აღმართული იყო მუდამ კედელი ერთი მთლიანი მენშევიკური „რეაქციონური მასის“, მისი ხელმძღვანელი და ტაქტიკური ხაზის გამომნახველი ნაწილების, რომელთაც ეკუთვნიან ორი ხსენებული პირი და ლაპარაკი მათ შორის რაღაც უთანხმოების შესახებ ჩვენ და მათ შორის სადავო კითხვებზე მოწმობენ ხოლო რომ ზოგიერთებს ჯერ კიდევ საკმაო სისწორით ვერ შეუთვისებიათ სათანადო შეხედულება ვერც ამ ჩვენ პოლიტიკურ მუშაობაზე და ვერც ორი პარტიის ამ სადაო კითხვებზე.

ეჭვს გარეშეა, საფუძვლის მსგავს რამეს ამ უსაფუძვლო მითქმა მოთქმისას იძლევა ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში მენშევიკურ პარტიაში თავი იჩინა უთანხმოებამ რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხებზე რაც გათავდა რასკოლით მენშევიკურ პარტიაში. ჩვენ შეიძლება მოგვეცეს მომავალში შემთხვევა შევეხოთ მომავალში თეორეტიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს ამ რასკოლისას, მარა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკურ პარტიაში გაჩენილ ოპოზიციის მოწინააღმდეგე მხარის სულის ჩამდგმელები მენშევიზმში იყვნენ სწორეთ იგივე ერთი, მარა ორ პიროვანი, ნოე.

დღეს, როდესაც „იარაღის კრიტიკა“ საქართველოს მენშევიზმის წინააღმდეგ თავდება საბჭოთა რეჟიმის სრული გამარჯვებით და იწყება ხანა „კრიტიკის იარაღის“ და აღმშენებლობის მუშაობისა, საჭიროა ჩვენ რიგებში ადგილი არ ჰქონდეს დათმობილი იმ აზრს, რომ თითქოს ყოფილ ორტოდოქსალურ მენშევიზმის სახით ჩვენ წინ აღმართული არ იყოს ჩვენი სისტემატიური კრიტიკითა და აღმშენებლობით დასანგრევი და გადასალახავი ზღუდე ისე, როგორც ის დაინგრა და გადაილახა საქართველოს მუშათა და გლეხთა ძლევა მოსილი იარაღით.

ნ. კრედო.

ოპერატიული ცნობა.

დილით, 13 მარტს, ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგ. სამტრედია, ხელთ ვიგდეთ 21 ორთქლმავალი და 20 ვაგონი. 13 მარტს 20 საათზე დავიკავეთ სადგური და ქალაქი ფოთი.

ის ნაწილი, რომელიც უტევდა ბაღდადის მიმართულებით, სოფლების დაჭერის შემდეგ, გაემართა მთავარ ძალებთან შესაერთებლად.

მოწინააღმდეგე იხევს ბათუმისკენ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.** მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

კომპარტიის მე-10 ყრილობა.

ამხ. კრასიკოვის სიტყვა.

10 მარტს დილის სხდომაზე ამხ. კრასიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა რელიგიურ საკითხის შესახებ. რელიგიურ საკითხს რუსეთში, განაცხადა მომხსენებელმა, აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა; ამის და მიუხედავათ რელიგიური რეჟიმზე დღემდე უყურადღებოდ იყო დატოვებული. იუსტიციის კომისარიატის მე-8 განყოფილება იხილავდა მხოლოდ ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების საკითხს და მთლათ უნდებოდა მას, ანტირელიგიური პროპაგანდა კი (დამახინჯებულია)... პროფესორები, ყოფილი სტუდენტები, ინჟინრები ეწერებიან მორწმუნეთა რიგებში. მომხსენებელი ხედავს, რომ კომ. პარტიამ სრული გადაწყვეტილებით და სიმკაცრით უნდა ადევნოს თვალყური მას, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ხელმძღვანელობა არ გაგვისხლტეს ხელიდან, რადგანაც ყრილობას და კრებას, მოწვეულს ვითომდა რელიგიურ საკითხების გადასაწყვეტათ, იყენებენ პოლიტიკურ მიზნისთვის. ჩვენი ტაქტიკა უნდა იყოს ძლიერ ფრთხილი.

რელიგიის საკითხებში ჩვენ ნათლად უნდა გავარჩიოთ რელიგია პოლიტიკისა და ეკონომიკისაგან. ამის გამო პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებას უნდა დაეკისროს ძლიერ სერიოზული მიზანი—საბუნებისმეტყველო სამეცნიერო და ისტორიულ მოვლენათა გავრცელება ფართო მასაში... (დამახინჯებულია)... რელიგიური იდეოლოგია ადამიანისა. მისთვის წარმოიშვა მოთხოვნილება მიიღოს მეცნიერული მსოფლმხედველობა და შესაძლებლობა ძველი რელიგიური მეცნიერების შეცვლისა ახლით.

ამხ. ბუხარინის მოხსენება.

ამხ. ბუხარინის მოხსენება პარტიულ აღმშენებლობის შესახებ შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავს: რევოლიუციონურ პროლეტარულმა კომუნიზმმა არ იცის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც გამოსადეგი იყოს ყოველ დროისთვის და რევოლიუციის განვითარების ყოველგვარ ხარისხისთვის. უაზრობა იქნებოდა, ერთ პარტიულ ორგანიზაციაში სრული დემოკრატიზაციის მოთხოვნა. მთელ გასულ პერიოდში პარტიის უმთავრესი მიზანი იყო სამხედრო მოქმედება მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დასაცავად, ამისთვის პარტიული მუშაობა მიმართული იყო სამხედრო ბრძანებისა და მობილიზაციისაკენ, რომლებიც გამოდიოდა პარტიულ ცენტრიდან. ამ ბრძანებებს პარტიის წევრები უნდა დამორჩილებოდნენ მის განუსჯელათ. კომიტეტებს პარტიულ კრებების და სხვათა მუშაობა არ არსებობდა. ორგანიზაციის მხოლოდ ასეთ ფორმით პარტიამ უნდა გაიმარჯვოს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ ასეთმა მიწყობამ აუცილებლად შექმნა უარყოფითი მხარეები, პარტიის წევრთა [illegible] [illegible]. ერთგვარ პარტიის წევრები საბჭოთა პასუხისმგებელ [illegible], [illegible] კომუნისტებათ, [illegible] პასუხის-

მეგობელ მუშაკებით და პარტიის მორიგ წევრებით. ამ გარემოებამ დაჰბადა უთანასწორობა პარტიის წევრთა შორის, აგრეთვე ბოროტ-მოქმედება და პარტიაში უკმაყოფილება. პარტიის უმთავრესი მიზანი არის განათლება მეურნეობა. შიგნით კი პარტიის მიზანია აამაღლოს წევრთა ღირსება და ცოცხალი მონაწილეობა მიაღებინოს პარტიის ცხოვრებაში.

უნდა მოისპოს დაყოფა პარტიაში, შეერთდეს და შეკავშირდეს პარტია ...(გამოტოვებულია)... სხვაფრივ პარტიამ უნდა განახორციელოს მუშათა დემოკრატია, ე. ი. ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც პარტიის ყველა საკითხებში მონაწილეობის მიღებით უზრუნველყოფს ყველას. მიმდინარე მომენტის თანახმათ ყრილობამ დიდი სიფრთხილით უნდა აირჩიოს მუშათა დემოკრატიის ფორმები და გააცხოველოს პარტიის შინაგანი აღმშენებლობა, რომლებიც არას შემთხვევაში არ შეუშლიან ხელს პარტიის ხელმძღვანელ ცენტრებს სწრაფ და გაბედულ მოქმედებაში.

ამხანაგ სტალინი ეროვნულ საკითხის შესახებ.

მოსკოვი, 2 მარტი. (რადიო). კომ პარტიის მეათე ყრილობის 1 მარტის სხდომაზე ამხ. სტალინმა დააბოლავა თავისი მოხსენება შემდეგი სიტყვით: ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ არა თუ შესძლო გადაწყვეტა ეროვნული საკითხისა, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტის ცდის დროს გააზვიადა იგი... (გამოტოვებულია)... და შექმნა თავისივე წინააღმდეგ ახალი ფრონტი ირლანდიიდან ინდოსტანამდე. ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლიან გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი, ეს არის საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ემყარება კოლექტიურ საკუთრებას, წარმოების საშუალებებს და იარაღებს. საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში არ არიან არც დაჩაგრული და არც გაბატონებული ერები და ეროვნული ჩაგვრა მოსპობილია.

ქართული პრესა

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტ“-ის თანამშრომელი ეხება რა „მუშათა წერილებში“ მიმდინარე ამბებს და მუშათა კლასის როლს, სწერს, რომ ამ უკანასკნელმა,—„უნდა თავის ინტერესები დაუპირდაპიროს ბურჟუაზიის ინტერესებს და იმისდა მიხედვით იბრძოლოს უკეთეს მომავლისათვის, რადგან მის საქმეს არავინ გააკეთებს გარდა თავის თავისა..

დღესაც, როცა რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდა და ჯერ კიდევ არ დასრულებულა, არ მისულა თავის ლოღიკურ დასკვნამდე, დიდი სიფრთხილე გვმართებს საქართველოს მუშებს, რომ არსად წავიფორხილოთ და ისეთ უფსკრულში არ გადავცვივდეთ, რომ მომავალში სანანებლად გაგვიხდეს საქმე. რასაც ამ თავით გავაკეთებთ, მომავალშიც ის გვექნება, პატარა შემცდარმა ნაბიჯმა შესაძლებელია დიდი ზიანი მიაყენოს როგორც მუშათა საქმეს, ისე ჩვენ სამშობლოსაც. ამისთვის უნდა დავირაზმოთ და გულწრფელად შევუდგეთ ყველაფერ საქმეს, თვით ჩვენ მშრომელმა ხალხმა გამოვჭედოთ ის თავისუფლება, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მაგრამ ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ ჩვენ მუშებს არ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა, ეს რომ ასე იყვეს, ჩვენ მაშინ პირუტყვებს დავემგვანებოდით, რადგან თუ არ გვექნებოდა ჩვენს სამშობლო ენაზე განვითარება, პირში წყალჩაგუბებულნი ვიქნებოდით, მუნჯები. პირიქით მუშებს უფრო უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, რადგან მშობელი დედა მშობლიურ ენაზე გვზრდის პატარაობიდანვე. ჩვენ სხვა ენა არ ვიცით, გარდა მშობლიური ენისა და თუ ამ ენას მოგვისპობს ვინმე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველი მუშები დამუნჯებულნი, პირში წყალჩაგუბებულნი ვიარებოდით და შურის თვალით შევყურებდით სხვა ქვეყნის მუშებს, რომელნიც თავიანთ სამშობლო ენაზე ვითარდებიან“.

ჩვენ მოვიყვანეთ ავტორის აზრი, როგორც დამახასიათებელი ჩვენი საზოგადოების ზოგი წრეებისათვის და გვგონია, რომ მენშევიკებისა და მათი ამყოლ-დამყოლ პარტიების დემაგოგიით გამოწვეულ მითქმა-მოთქმას და ეჭვებს ამ შემთხვევაში ქართული ენის ბედის შესახებ საბჭოთა რეჟიმის დროს, ბოლო მოეღება მალე, განსაკუთრებით რევოლიუციონური კომიტეტის განცხადებისა და მის ცხოვრებაში გასატარებლათ უკვე მიღებულ სათანადო ზომების შემდეგ.

საბჭოთა რუსეთში

პეტროგრადის მრეწველობის აღდგენა.

პეტერბურგი, 11 მარტი. (რადიო). პეტროგრადის რაიონის ყველა 5 ქალალდის ქარხანა 14 მარტიდან დაიწყებს მუშაობას. უკვე მოეწყო მომარაგება ალექსანდრეს სახელობის ქარხნისა შეშით და ტორფით. ქარხანა ორი კვირაა უზრუნველყოფილი საწვავი მასალით. საწვავი მასალა მოდის შეუწყვეტლივ. ქარხანა ენერგიულად მუშაობს ორთქლმავალების და ვაგონების შესაკეთებლათ.

თანხის გადადება საბჭოთა მეურნეობისათვის.

მოსკოვი, 10 მარტი, (რადიო). სოვნარკომმა დაადგინა: ციმბირის, დონეცის ოლქის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის საბჭოთა მეურნეობისთვის გადადვას 4 მილიარდი 450 მილიონი მანეთი.

რ. კ. პ. მე-10 ყრილობის მიმართვა პეტროგრადის მუშებისადმი.

მოსკოვი. 15 მარტი. (რადიო. „იმ დროს, როდესაც მუშათა-კლასის მტრები სცილობდნენ დაანთონ ახალი სამოქალაქო ომის ცეცხლი ჩვენს მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკაში, ჩაგვაგდონ ჩვენ დაუსრულებელ გაჭირვებებში აჯანყებათა და გაფიცვების მოწყობით, რკინის გზათა დანგრევით, სათბობი მასალის წყაროებთან კავშირის და ჩვენი სამრეწველო ცენტრებისათვის ნედლი მასალის მიწოდების შეწყვეტით, ამასთან გვიშლიან ჩვენ, რომ მოვახდინოთ ლაშქრის დემობილიზაცია და დავაბრუნოთ მუშები ლაშქრიდან მიწის დასამუშავებლათ (გამოტოვებულია)...და ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობა. მე 10 ყრილობა რუსეთის კომუნისტურ პარტიისა ეხლა სწყვეტს სწორეთ საკითხებს, თუ როგორ მოაწყოს საუკეთესოთ პროფკავშირები, როგორ დაუახლოვოს ისინი წარმოების მმართველობას, როგორ გააუმჯობესოს, ასწიოს და გაადიდოს წარმოება, რათა მივცეთ საქონელი სოფელს, როგორ შევამსუბუქოთ სათბობი მასალის კრიზისი, როგორ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა, მუშათა და გლეხთა ქალაქსა და სოფლის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით, როგორ შევამციროთ რაოდენობა და გავაუმჯობესოთ ღირსება წითელი არმიისა და დავამყაროთ უფრო მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა სახელმწიფოებთან. რ. კ. პ., გამოსული მუშათა კლასის წიაღიდან, რომელსაც ჰქონდა მჭიდრო, ძმური და საერთო პირვარამით შედუღებული კავშირი პეტროგრადის-რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველ ქალაქის—მუშათა მასსებთან, უგზავნის სალამს პეტროგრადის მუშებს და მოუწოდებს პეტროგრადის მთელ პროლეტარიატს ბოლომდე იდგეს მტკიცეთ იმის დასაცავათ, რაც 4 წლის წინათ მოპოვებულ იქმნა დიდი მსხვერპლის ფასით. ყრილობა დარწმუნებულია, რომ პეტროგრადის პროლეტარიატი შემდეგშიც იქნება მაგალითი რევოლიუციონურ მომზადების, შრომის დისციპლინის, უდიდესი საქმის—პროლეტარული რევოლიუციისათვის თავდადების და საბჭოთა უფლების შეურყეველ საფუძვლისა მთელი რუსეთის მშრომელთა და მსოფლიო პროლეტარიატისათვის. ლენინი, ტროცკი, ფრუმზე, სტალინი, ზინოვიევი, კამენევი, შლიაპნიკოვი, ბუხარინი, ტროცკი, მიხა ცხაკაია, იაროსლავსკი, ტუნტული“.

საბჭოთა აზერბეიჯანში

რკინის გზელთა ყრილობა ბაქოში.

ბაქო, 3 მარტი. რკინის გზელთა ყრილობის მოხსენების მოსმენის შემდეგ მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიუხედავათ ტეხნიკურ და მატერიალურ ნაკლულევანებისა, რკინის გზის მუშაობა მშრომელთა ენერგიის წყალობით თან და თან უმჯობესდება.

ყოველ-დღიური ამოღება ნავთისა იზრდება.

ბაქო. ამოღებული ნავთის რაოდენობა 25 თებერვალს უდრიდა 441,000 ფუთს.

მუსულმანი ქალები სცენაზე.

ბაქო. სრულიად აზერბაიჯანის „რაბის“-ის ყრილობაზე „რაბის“-ის ცეკას თავმჯდომარემ სთქვა: მახლობელ დღეებში განჯაში მოხდება პირველი გამოსვლა მუსულმან ქალებისა სახალხო წარმოდგენაში.

საზღვარ-გარეთ

გერმანიაში.

პარიზი. პრუსიის ნაციონალისტების კონგრესზე კენისბერგში გამოტანილ იქმნა ერთხმად პროტესტის და აღშფოთების რეზოლიუცია ვერსალის ხელშეკრულობის წინააღმდეგ, რომელიც უქადის გერმანიას სილატაკეს გერმანია უნდა წინააღუდგეს ანტანტის მოთხოვნილებებს და უარი განაცხადოს თავის არმიის შემცირებაზე. გერმანიას, თავის არსებობის შენარჩუნებისათვის, არა აქვს უფლება უარი სთქვას დანცინგზე და სტრასბურგზე.

კომუნისტების გასამართლება.

ჰელსინგფორსი. ფინეთის ბურჟუაზიული პრესა იუწყება, 12 მემარცხენე სოციალისტების გასამართლების შესახებ აბოში. სასამართლოში გამოირკვა, რომ 1920 წ. ფინეთში დაარსდა ძლიერი პარტია კლასთა ბრძოლის და მესამე ინტერნაციონალის პრინციპების პლატფორმაზე.

ლონდონის კონფერენცია.

ბაქო. 10 მარტი. ლიონის რადიოსადგური გერმანელების მიერ ლონდონის კონფერეიციაზე წარდგენილ კონტრ წინადადებათა შესახებ იუწყება შემდეგს: ორშაბათს სიმონსმა ლონდონის კონფერენციას წარუდგინა გერმანელების კონტრ წინადადებანი, რომელშიაც გერმანიამ განაცხადა თანხმობა, მიიღოს გადასახდელათ 58 მილიარდი იმ პირობით, რომ გერმანიას შერჩება ზემო-სილეზია. მოკავშირეებმა ერთხმად უარყვეს გერმანიის კონტრ-წინადადება, რომელიც იმათი აზრით სასაცილოა. $4^1/_2$ საათზე ლოიდჯორჯმა აცნობა გერმანიის დელეგატებს, რომ მოკავშირენი შეუდგებიან [illegible] ზომების ხმარებას. 15 წუთის განმავლობაში მსჯელობის შემდეგ სიმონსმა მხოლოდ პროტესტი განაცხადა ამ ზომათა წინააღმდეგ. გერმანიის კაბინეტმა ერთხმათ მოიწონა სიმონსის საქციელი ლონდონის კონფერენციაზე. პრეზიდენტმა ებერტმა მადლობა გამოუცხადა დელეგაციის კეთილსინდისიერ მუშაობისათვის. დელეგაციის წევრთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ლონდონის კონფერენციაზე გამარჯვებას ვერ მიაღწევენ შოვინისტ ფრანგ ჟურნალისტები, რომლებიც მოქმედობდნენ წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით და იცავდნენ

ამხ. მახარაძის სიტყვა ნაძალადევის სახალხო სახლში 13 მარტს.

ამხანაგებო! დღეს მე მსურს გესაუბროთ ფრიად საყურადღებო საკითხზე. მე მინდა გულახდილათ, გულწრფელათ გითხრათ, თუ რისთვის შემოვიდა აქ წითელი ჯარი რა იყო და რა არის მისი მიზანი აქ. მე გავიგე, რომ დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომებზე განაცხადეს, თითქო მე მოღალატე ვიყო, თითქო მე ბოროტი მიზნებით მოუძღოდი რუსის ჯარებს და სხ... ასეთ პროვოკაციულ ხმებს მე დიდი ხანია შევეჩვიე... მე არასოდეს არ შემუშინებივარ არავითარ მუქარას, ცილისწამებას, ვინაიდან ღრმათ მწამდა და მწამს, რომ ის საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, არის უაღრესად მუშური და პროლეტარული... მოიგონეთ ალექსანდროვის ბაღში მომხდარი უბედურება, სადაც დაიღვარა საუკეთესო ამხანაგების სისხლი. გაიხსენეთ დუშეთის ამბოხება და სხვა მრავალი... ყველა ამაების მეთაურათ მე მასახელებდნენ, და, როგორც ასეთს, მოღალატის სახელით მნათლავდნენ... და როცა, ყოველივე ამის შემდეგ, დამფუძნებელი კრება მოღალატეთ მაცხადებს,—ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა... აქაური კაცისჭამია შოვინისტები ამაზე შორს ვეღარ წავიდოდნენ... ჩვენ გვისაყვედურებენ, ჩვენ დანაშაულათ გვითვლიან იმას, რომ საქართველოში ფეხი შემოსდგა წითელმა ჯარმა და მერე ვინ არიან ეს ვაჟბატონები? ესენი არიან ის ორპოფია ორ სკამზე მჯდომი მენშევიკები, რომლებიც თავის ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის აქ ეპატიჟებოდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჯარებს, რომლების მიზანი შეადგენს მოსპონ და ძირიანათ [illegible] ყოველგვარი [illegible]... ამ მხრივ ვილჰელმის [illegible]... და მენშე- [illegible]

ბის პირველ დღეებშივე მოიპატიჟა აქ იმპერიალისტური გერმანიის ჯარები, რომლების შემწეობითაც ცეცხლითა და მახვილით იქმნა ჩაქრობილი ქართველი მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური გამოსვლები. ვილჰელმის ჯარები თავისუფლათ თარეშობდნენ და პირნათლათ ასრულებდნენ თავიანთ მისიას... იმ დროს მენშევიკები გაერთიანდნენ ნაციონალ დემოკრატებთანაც კი, და მიზნათ დაისახეს რევოლიუციონური სულის ჩაკვლა ქართველ ხალხში... ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებდა... მაგრამ მენშევიკების სამწუხაროთ გერმანელების ბატონობა დიდი ხნის არ გამოდგა... რევოლიუციონური ტალღები გერმანიასაც მოედო და ძირიანფესვიანათ შესცვალა იქაური ცხოვრება... ვილჰელმის ჯარის ნაწილები, რომლებიც აქ იდგნენ, დაიშალნენ... დარჩნენ მენშევიკები თავიანთ ძალების ამარა... წარმოუდგენელ გაჭირვებაში და მწუხარებაში ჩავარდნენ იმ დროს ისინი, იმ დროს მენშევიკებმა მიმართეს მეორე იმპერიალისტურ ძალას, ინგლისს, და უკანასკნელმაც შემოიყვანა აქ თავისი ჯარები... ინგლისის ჯარების თარეში საქართველოში ალბათ ყველას ახსოვს... ესენი უფრო საშინელები აღმოჩნდნენ... მათი სამარცხვინო საქმეების შესახებ ალბათ თქვენ უფრო უწყით, მე კი იმ დროს მოკლებულ ვიყავ ყოველგვარ თავისუფლებას, სოროებიდან თუ ამოვყოფდი თავს ხანდიხან... უნდა განვაცხადო, რომ მათი აქ შემოსვლა დაცინვა იყო ქართველი ერის, იმ ერის, რომელიც თავიდანვე იყო რევოლიუციონური. მე მახსოვს, როგორ დაჰცინოდნენ, როგორ აბუჩათ იგდებდნენ ისინი აქაურებს... მათთან ერთად აქ თავისუფლათ თარეშობდნენ აგრეთვე ევროპის სხვა იმპერიალისტების ჯარები. დაბოლოს ანგლის საფრანგეთი [illegible]

დნენ გაეყვანათ საქართველოდან თავიანთი ჯარები... ტყუილია, თითქო ეს ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ მოახერხა, არა... რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ამაყათ წინსვლამ და რუსეთის გლეხურ-მუშურმა ორგანიზაციებმა მოითხოვეს ეს ანტანტისგან. და ისინიც ძალაუნებურათ დათანხმდნენ ამაზე. თქვენ ალბათ გახსოვთ როგორ ატირდნენ, როგორ დაღონდნენ მაშინ მენშევიკები. სრულ სასოწარკვეთილებას მიცემულნი ისინი ნაციონალ დემოკრატებთან ერთად ემუდარებოდნენ მათ, რამდენიმე ჯარის ნაწილი მაინც დაეტოვებინათ ჩვენში... მაგრამ ანტანტას არ შეეძლო თავისი ჯარების აქ დატოვება, ვინაიდან ძლიერი იყო მოთხოვნა საბჭოთა რუსეთის მუშათა მთავრობისა... ისინი წავიდნენ, მაგრამ ვისი იმედით სცოცხლობდნენ მაინც მენშევიკები?—რასაკვირველია, ისევ მათი იმედით... აუარებელ ფულებს ფლანგავდნენ მენშევიკები სხვა და სხვა იმპ. სახელმწიფოების მისიებთან,—ბანკეტები, სადილების და ვახშმების მოწყობაში, რომ ამით მოეგოთ მათი გული, დაემსახურებიათ მათი პატივის ცემა. ანტანტის სახელმწიფოებში განუწყვეტლათ მიემგზავრებოდნენ საქართველოდან მენშევიკების წარმომადგენლები, რომელშიც საქართველოს სახელით ერთგულებას ეფიცებოდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებს... მენშევიკებმა შემოუშვეს და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს აგრეთვე შავი დენიკინის შავი ჯარები... სოჭის მიდამოებში 3,000 დენიკინელი გვებრძოდა ჩვენ და ასეთი ხალხი, ეხლა ჩვენ [illegible] რომ ჩვენ უცხო ჯარებით შემოვედით აქ... დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელების და მუშების ინტერესების... დიახ, ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მო- [illegible]

ისინი თავის ძალა-უფლებით მოქმედობენ... ჩვენ, რომ უთხრათ, ისინი დღეხვა დატოვებენ საქართველოს, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ წითელარმიელები ჯერ კიდევ საჭირონი არიან ჩვენში. იბადება კითხვა, თუ რისთვის მოვიდნენ აქ ისინი, რა ინტერესები ამოქმედებდნენ და რა აქვთ მიზნათ დასახული? ამის საპასუხოთ ფაქტები ავალაპარაკოთ... ყველა რომ მოვთვალო, მგონი, ერთ დღესაც ვერ დავათავებ, გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი. ჩვენი ხალხი იბრძოდა თავიდანვე, ვინემ მის სათავეში არ მოექცეოდა ჟორდანია და მისი მთავრობა. ამ დღიდან დაიწყო ჩაკვლა ყოველგვარი რევოლიუციონური აღტკინებისა. ბევრჯერ მოხდა აჯანყებები მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ, თუმცა ეს აჯანყებები ძირიდან გამომდინარეობდენ, მაგრამ მენშევიკებმა მაინც შესძლეს მათი ჩაკვლა უცხო ძალების შემწეობით... აჯანყებები ხდებოდა მაშინაც, როცა წითელი არმიელების შემოსვლაზე აქ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ვინაიდან საქართველო სრულიად მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთს. საქართველოსა და რევოლიუციონურ რუსეთს შორის აღმართული იყო შავი რეაქციის, დენიკინის შავი კედელი. საქართველო გადაიქცა კონტრ-რევოლიუციონურ ბუდეთ მთელი კავკასიისთვის. ყოველგვარი შეთქმულებები აქედან იწყებოდა... აქ იყო მათი გასაღები, ვიტყვი კიდევ მეტს: აქ იყვნენ შეჯგუფებულნი მსოფლიოს ყველა კონტრ-რევოლიუციონერები და აქედან მზადდებოდა რევოლიუციისათვის საფრთხე. ეს კონტრ-რევოლიუციონური ძალები უხილავი ძალებით იყვნენ შეკავშირებულნი ყველა ქვეყნის კონტრ-რევოლიუციონერებთან, რომლებთანაც შეხმატკბილებულათ აკეთებდნენ თავიანთ ბნელ საქმეებს. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა პირველმა სცნო საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობა, მენშევიკური საქართველო მაინც განაგრძობდა საბჭოთა რუსეთისადმი მტრობას. აქ, საქართველოს მიწა წყალზე, მენშევიკების ლოცვა კურთხევით სდგებოდა კონტრ-რევოლიუციონური რაზმები, რომლების მიზანს, შეადგენდა საბჭოთა ძალა-უფლების დამხობა. ეს იყო მასხრათ აგდება დიდი რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობისა...

მენშევიკურმა მთავრობამ ისარგებლა სომხებისა და ქემალისტების ომით და ძალით შეიყვანა ჯარი ნეიტრალურ ზონაში, რომლის დაკავების უფლება მას არ ქონდა. თქვენ ალბათ ისიც გახსოვთ, თუ რა უბედურება დაატყდა თავს ერთ მუჭა ოსებს... შეიძლება ოსები შეუფერებლათ მოიქცენ, მაგრამ ასეთი უსასტიკესი გაშმაგებით ბრძოლა მათთან დაუშვებელი იყო... საქართველოს ისტორიას არ ახსოვს რომელიმე ერის ასეთი დამცირება, აწიოკება. აჯანყებები ხდებოდა აგრეთვე ბორჩალოსა და ლორის მაზრებში. მოთმინების ფიალა აივსო. დადგა დრო, როცა რუსეთის წითელი არმიას უნდა შეესრულებინა თავისი მისია. და იგი გამოვიდა კიდეც აჯანყებულების დასახმარებლათ. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ჩვენი ხალხი მომწიფებულია ახალ სოციალისტურ ცხოვრებისათვის; თუმცა მენშევიკური მთავრობა ცდილობდა ჩაეკლა ქართველ ხალხში რევოლიუციონური სული, მაგრამ ეს მაინც ვერ შესძლო მან. ქართველებში მაინც ღვივოდა ასეთი ცეცხლი (ტაში). [illegible] რისთვის შემოსდგა აქ ფეხი წითელმა ჯარმა. ვიმეორებ, დიახ ჩვენ მოვუძღოდით წითელ არმიელებს, მაგრამ არა დასაპყრობათ, არამედ ქართველ ხალხის და აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლათ (ტაში). ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ სამუდამოთ მოვსპოთ და დავშალოთ კონტრ-რევოლიუციონური ბუდე, რათა რუსეთიც დამშვიდებულათ უცქიროს ამ მხრეს. რუსეთი უნდა დარწმუნდეს, რომ აქედან მას საფრთხე არ მოელის...

([illegible])

მკაცრ დისციპლინას, და რომლებმაც თავის საომარ სულიერ განწყობილებით გავლენა იქონიეს ინგლისის საზოგადოებრივ შეხედულებაზედაც კი.

გერმანიის კომერსანტები ბოიკოტს უცხადებენ ანტანტას.

ნაუენი. (რადიო) ჰამბურგში შესდგა გერმანელ კომუნისტთა საზოგადოება, რომლის მიზანია უარი თქვას ინგლის-საფრანგეთ-ბელგიიდან ყოველგვარ საქონლის ყიდვაზე. ანალოგიური საზოგადოებანი სდგება მთელ გერმანიაში.

კომუნისტების დეკლარაცია საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პარიზი. მარსელ კაშენმა კომუნისტურ პარტიის სახელით საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გამოაქვეყნა დეკლარაცია საგარეო პოლიტიკის შესახებ. კაშენმა განაცხადა, რომ ყაჩაღური მოთხოვნილებანი ანტანტისა მთელი თავისი სიმძიმით დააწვება პროლეტარიატს. ბურჟუაზიულ მტაცებლობის მადა, შეიძლება, განისაზღვროს მხოლოთ სოციალური რევოლიუციით რეინის ორივე ნაპირებზე.

საფრანგეთის კომუნისტები, ხელმძღვანელობენ რა აღმოსავლეთის პრობლემით, მოითხოვენ საომარ მოქმედებათა შეწყვეტას აღმოსავლეთში. ბოლოს საფრანგეთის კომუნისტები თავის დეკლარაციაში ენერგიულათ მოითხოვენ, რომ საფრანგეთმა დასდოს სავაჭრო ხელშეკრულებანი რუსეთთან.

საპროტესტო გაფიცვა.

მადრიდი. პროფესიონალურმა კავშირებმა ბარცელონაში, პოლიციის მიერ სინდიკალისტ მუშის მოკვლის საპასუხოთ გამოაცხადეს გაფიცვა. მუშათა აღელვება იზრდება დღითი დღე. უკანასკნელ დღეების განმავლობაში დატუსაღებულ იქმნა 152 მუშა და სხვა და სხვა რევოლიუციონურ კავშირების წევრები.

კომუნიზმი ნორვეგიაში.

ქრისტიანია. 28 მარტისთვის მოწვეულია ნორვეგიის მუშათა პარტიის კონგრესი. კონგრესზე განხილულ იქნება საკითხი მე-III ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

მუშათა მოძრაობა ამერიკაში.

ნაუენი. ნიუ-იორკში გაფიცული არიან 35,000 მუშა, უმთავრესად ქალები, რომლებიც მუშაობენ ტანისამოსის დასამზადებელ წარმოებაში. წარდგენილია ეკონომიური მოთხოვნილებანი.

ვილჰელმ II-ის გაძევება

პარიზი. მიუნხენიდან იუწყებიან: ჰოლანდიის მთავრობამ კატეგორიულად დაადგინა განდევნოს ვილჰელმ 2 ჰოლანდიის საზღვრებიდან. ჰოლანდიის მთავრობამ იპოვა მთელი რიგი დოკუმენტების, რომელიც ამტკიცებენ ჰოჰენცოლერნები ჰოლანდიის ქალაქებში საიდუმლო ორგანიზაციებს აწყობდენ გერმანიაში გადატრიალების მოსახდენად და ძალა უფლების ხელში ჩასაგდებად საჭირო საშუალებით. გადატრიალების გეგმით კრონპრინცი ოფიცრებთან ერთად უნდა გაქცეულიყო გერმანიაში და ჰოჰენცოლერნების ძალა-უფლება აღედგინა. ჰოლანდიის პოლიტიკურმა პოლიციამ დაამტკიცა, რომ უკანასკნელ დროს ჰოჰენცოლერნების ოჯახის წევრები ხშირად იცვლიდნენ მოსამსახურეებს, რომელნიც გამოძიების შემდეგ გამოირკვა, ყოფილან ჰოჰენცოლერნების საიდუმლო აგენტები. მაგიდის სუფრების ქვეშ, გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქმნა საეჭვო დოკუმენტები. ამ ამბების გამო ჰოლანდიის მთავრობამ ოფიციალურად აუწყა ვილჰელმ 2-ეს და ჰოჰენცოლერნების წევრთ, რომ სულ მოკლე ხანში, მათ დასტოვონ ჰოლანდიის საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში იმათზე რეპრესიულ ზომებს მიიღებენ.

გერმანია და ანტანტა.

ბერლინი. გერმანელ სოციალისტ-მაქსიმალისტების ორგანო ანტანტას მოთხოვნილებების შესახებ სწერს: ანტანტას მთავრობებს არ შეუძლიანთ ლონდონში გერმანიის სიკვდილის განაჩენს ხელი მოაწერონ. არც ერთი გერმანიის მთავრობას არ შეუძლიან ანტანტას პირობები მიიღოს. ანტანტა უნდა გამოეთხოვოს იმ აზრს, რომ გერმანია თავისუფლად შეასრულებს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც წამოუყენებს იგი.

უმუშევარნი ინგლისში.

პარიზი. ფრანგული პრესის გადმოცემით ინგლისში უმუშევართა რიცხვი მეტად იზრდება და დიდ მუქარას უქადის ქვეყანას. კრიზისი უკვე დაეტყო საფეიქრო მრეწველობას. ერთ ქალაქში, ლანკაშირში 200,000 უმუშევარი ითვლება. ლოიდ-ჯორჯი წინადადებას იძლევა უმუშევართა რიცხვი შეამცირონ კოლონიებში გადასახლების საშუალებით. მუშების კავშირები კი გადასახლების წინააღმდეგნი არიან.

საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ სლავიაში.

ნაუენი. სამხრეთ სლავიანთა პარლამენტის კომუნისტ დეპუტატებმა გამოიტანეს პროექტი სამხრეთ-სლავიაში საბჭოთა რესპუბლიკის დამყარების შესახებ.

დამოკიდებულება ბოლშევიზმთან.

ჰელსინგფორსი. ახლად გამოსული რუსული გაზეთი „პუტ“-ი შემდეგნაირად განმარტავს ბოლშევიკების პლატფორმას: დაყოფა ყველა რუსებისა ბოლშევიკებათ და ანტიბოლშევიკებათ უაზრობა იქნებოდა, ბოლშევიზმი უნდა გავიგოთ ორნაირათ: როგორც თანამედროვე სახელმწიფოს მთავრობის ორგანიზაცია და როგორც კომუნისტურ პარტიის იდეოლოგია. უკანასკნელ ხანებში რუსეთის პოლიტიკური პარტიები შეუდგენ თავიანთ დამოკიდებულების გადასინჯვას ბოლშევიზმთან, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლებასთან. ზოგიერთი პარტიები და ნაწილი კადეტებისა იჩენენ საბჭოთა მთავრობის ცნობის ტენდენციას. საბჭოთა რესპუბლიკა ცნობილია მთელ რიგ მთავრობის მიერ, და მათ რიცხვში ფინლიანდიის მთავრობის მიერაც. შეიძლება არ იყო კომუნისტი და სცნო იურიდიული სრულუფლებიანობა დღევანდელ რუსეთის მთავრობისა. ეხლანდელი დამოკიდებულება ევროპისა რუსეთისადმი შეუძლებელია გაგრძელდეს შემდეგში, რათაც არ უნდა დაჯდეს, შეჩერებულ უნდა იქნეს ცდა იარაღით ჩარევისა და რუსეთის ეკონომიურ დაუძლურებისა. 2 მილიონმა რუსის მოქალაქეებმა თავი უნდა დაანებონ მთელ დედა-მიწის ზურგზე ხეტიალს, რითაც ამცირებენ თავიანთ თავს და ამასთან სხვებს ავიწროებენ.

ქრონიკა

ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტში. ყოფილ მთავრობის მიერ ჯარში გაწვეულთა ოჯახების უზრუნველყოფა სურსათით და პურით.

— ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანებით № 6 აცხადებს: „ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილებით, ოჯახები საქართველოს მენშევიკურ მთავრობის მიერ ჯარში გაწვეულთა და აგრეთვე გაქცეულთა თბილისიდგან ომიანობის გამო (მუშები, გლეხები, დაბალი მოსამსახურენი, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოებისა და დაწესებულებისა და ინტელიგენტი მომუშავენი) დღიდგან ამა ბრძანების გამოცემისა, მიიღებენ სურსათს (ულუფა და სხვა) საზოგადო წესებით. აგრეთვე აღნიშნულ ოჯახებს უფლება აქვთ მიიღონ ხვედრი ფული, რომელიც ეძლევათ ოჯახის პატრონთ იმ სამსახურის მიხედვით, რომელიც ბოლო დროს ჰქონდათ.

— შესაფერ დაწესებულებას, მმართველობათ და წარმოებათ ევალებათ თვალყური ადევნონ ზემოხსენებულ დადგენილების სწორ და ნამდვილ შესრულებას.

◆ **ბინის ფასის მომატების აკრძალვა.** ბრძანებაში № 7 ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს: ბინის პატრონებსა და სახლის პატრონებს სასტიკად ეკრძალებათ ბინის ეხლანდელ ფასის მომატება. ამ ბრძანების დამრღვეველნი მიცემულ იქნებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალში. საბინაო კომიტეტებს, მილიციის უფროსს და საბინაო კომიტეტებს ევალებათ სასტიკი თვალყურის დევნება ამ ბრძანების ასრულებისთვის.

◆ **ცენტრო-კავშირი.** კავშირმა უკვე აღმოაჩინა საქონლის ნაწილი, რომელიც საქართველოს ყოფილ მთავრობის მიერ იყო მისგან ჩამორთმეული. ცენტრო-კავშირი აღმოჩენილ საქონლის ნაწილს გზავნის ბაქოში, რამდენიმე ვაგონ ბრინჯზე გადასცვლელად რესპუბლიკის სასურსათო ფონდის დასახმარებლათ.

◆ **სასურსათო საქმის ორგანიზაცია.** ქალაქის რევკომის სხდომაზე 2 მარტს მოისმინეს მოხსენება სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარისა, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ სასურსათო საქმის ორგანიზაცია შესამჩნევლად გაუმჯობესდა. ამ ჟამად მოქმედობს 34 დამნაწილებელი პუნქტი პურის დარიგებისა. ფურნეების რიცხვი მომატებულია და ამ ჟამად მარტო კერძო მცხოვრებთათვის ცხვება დღეში 1600 ფუთი პური. ქალაქის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: პურის ულუფის სარგებლობის დროს ბოროტ-მოქმედების ასაცილებლად დაევალოს ყველა დაწესებულებას წარუდგინონ მუშათა და მოსამსახურეთა სიები კონტროლისათვის, რევოლიუციონურ კომიტეტთან არსებულ მუშა-გლეხთა ინსპექციას; დაევალოს სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელთა და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას, მოაწესრიგოს უმუშევართა უზრუნველყოფა სურსათით; დაევალოს სასურსათო კომიტეტს შეიმუშაოს გეგმა ყოველგვარ სურსათ-სანოვაგის დანიშვნისა.

ბრძანება № 18.

მარტის 15, 1921 წელს.

დღეის რიცხვიდან შევუდექი თანამდებობის ასრულებას.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი.**

დედანთან სწორია.

საქმის მწარმოებელი **მაკ. თ. ელიოზიშვილი.**

◆ **ნავთი ბაქოდან.** 11 მარტს ბაქოდან თბილისში მოვიდა 41 ცისტერნა ნავთი.

◆ **ლიტვის წარმომადგენლობა კავკასიაში.** ლიტვის კონსულმა გრუზკავროსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ლიტვის წარმომადგენლობის უახლოესი მიზანია საქართველოში ლიტველ მოქალაქეთა ევაკუაცია. თბილისში ამ ჟამად 400 ლიტველია, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. ლიტვა ამ ჟამად დაინტერესებულია მიიღოს ნავთი, რომლის მაგივრად იგი ხორბალს გაიღებს. საქართველოდან შეიძლება გატანილ იქმნას ღვინო, დაფნის ფოთოლი, თამბაქო, ხილი, რომელთა ნაცვლად ლიტვას შეუძლიან ხორბლის გამოგზავნა, მაგრამ საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის საჭიროა სატრანსპორტო ხელშეკრულება საქართველოსთან. რუსეთთან ამ გვარი ხელშეკრულება დადებულია და იმედს გამოვთქვამ, რომ გაზაფხულზე საქონლის გაცვლა გამოცვლა დაიწყება ამიერ-კავკასიასთან.

◆ **ფულის ნიშნები.** მოქალაქეთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ეგრედ წოდებული „პიატაკოვის“ ფულის ნიშნები „კერენსკის“ სახისა 10,000, 50,000, 1,000, 500, 250, 100, 50, 25 მანეთის ღირებულებისა სავალდებულოა მისაღებათ.

◆ **მოსამსახურეთა და მუშათა მიღება.** რკინის გზებზე გაცემულია განკარგულება, რომ მოსამსახურეებს მიიღებს სამსახურის ნაწილის ან სახელოსნოს სათანადო უფროსი, აღნიშნულ დაწესებულებებთან მყოფ კომისართან ერთად და წარმოების კავშირის ორგანოებთან შეთანხმებით.

◆ **სააგიტაციო მატარებელი.** დღეს, მარტის 13-ს, ბაქოდან თბილისში მოელიან სააგიტაციო მატარებელს № 26.

ქართველ ხელოვანთ.*)

თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა სასახლე. ხელოვანთა სასახლეს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა ქართველი ხელოვანი.

ქართულ ეროვნულ კულტურის აღორძინებაში ქართულ ხელოვნებას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა.

დღესაც ქართულმა ხელოვნებამ დიდი როლი უნდა ითამაშოს ერის ცხოვრებაში.

თავისთავად ხელოვნების დიდმნიშვნელოვანობა კაცობრიობისთვის ყველასათვის ცხადია.

ერის ზრდაზე, განვითარებაზე, ფსიქიკაზე და ინდივიდუალობაზე ყველაზე კარგად ხელოვნება მოქმედობს.

ძველი საბერძნეთის და რომაელების ნებისყოფა აღიხატა ხელოვნებაში. ხელოვნებამ ნათელჰყო ერის კულტურა და ხელოვნება.

მდიდარი ხელოვნება ნიშანია ადამიანის დიდი სულიერი კულტურის, მისი განვითარების და წინსვლის.

ყოველ დროს, ყოველ ეპოქას თავის სახე აქვს, და ეს სახე ყოველთვის აღიხატება ხელოვნებაში.

დღეს მთელ მსოფლიოში დიდი ქარტეხილია. ძნელია იმის თქმა, თუ რევოლიუციის დანთებული ცეცხლი როდის ჩაქრება და როდის მონახავს კაცობრიობა ერთ სათავეს, გამოსავალს და ჩავარდება მწყობრ კალაპოტში.

ხელოვნება კოსმიური წვაა. შიგ იფერფლება ადამიანის სული. ადამიანის სული კი მარადიულ ტანჯვაშია. ტანჯვით იკაფავს იგი გზას ახალ ცხოვრებისკენ, ნათელ მომავლისკენ.

ცხოვრება ყოველთვის განიცდის—რევოლიუციას.

ხელოვნება კი—ევოლიუციას.

ცხოვრება რომ გაჩერდეს ერთ წერტილზე, შეუძლებელია. მსოფლიო თავის ძალთა ბრძოლაში ქმნის უდიდეს ღირებულებას. ერთ წერტილზე გაჩერება მომასწავებელია სიკვდილის. სიკვდილი კი გათავება და ამოწურვაა არსისა. ამიტომ ცხოვრება, როგორც ცვლილებითი პროცესი უკვდავია და მას თან დასდევს უკვდავი მშვენიერება ხელოვნება.

ხელოვნების გაჩერებაც ერთ წერტილზე წარმოუდგენელია.

წარსული საუკუნოების კულტურა წაიშლებოდა რომ თვითოეულ საუკუნეს არ ჰქონებოდა თავისი სახე, რომელიც აისახებოდა ხელოვნებაში.

საქართველოს კულტურაც უნდა დავაფასოთ ხელოვნებით.

ქართულ ხელოვნებას თავისი ისტორია აქვს.

ქართულ ისტორიას კი ვერავინ უარჰყოფს.

შეუძლებელია უარყოფა იმის, რაც არსებობს და რომელსაც შეუქმნია დიდი კულტურა, ტრადიცია და ღირებულება.

არც ერთი პოლიტიკური წეს-წყობილება არ მოითხოვს ეროვნულ კულტურის განიავებას.

პირიქით! კაცობრიობის კულტურის სისრულე და სიმაღლე მაშინ იქნება, როდესაც ყოველი ერი შეისისხლხორცებს კარგად თავის სახეს, შეითვისებს თავის გარეგან და შინაგან ცხოვრების პროცესს და ძლიერი მაჯისცემით შეუკავშირდება მსოფლიო სრბოლას.

არც ერთი ჩვენი ნაბიჯი არ უნდა განხორციელდეს ეროვნულ ნიადაგის გარეშე.

და თქვენ, ქართველო ხელოვანნო, ყველას მოგიწოდებთ ეროვნულ ნიადაგზე იმუშავოთ ეროვნულ კულტურის ასაყვავებლად.

შემოკრბით ყველანი მშობლიურ კერის გარშემო და დაანთეთ თქვენ სამშობლოში ღვთიური ცეცხლი.

დეე ამ ცეცხლში ჩაიწვას ქართველ ხალხის დიდი ტანჯვა.

ტანჯვაში განსპეტაკდება და ამაღლდება ადამიანის სული.

და საქართველო აღსდგება ახალ ცხოვრებისათვის.

ჩვენ ეს გვრწამს და ამ რწმენით შეუდექით მუშაობას ხელოვნების ყოველ დარგში.

ჩვენი ხელოვნების სასახლე უნდა გარდაიქცეს ნამდვილ ხელოვნების სასახლეთ და მან უნდა აღზარდოს ქართველი ხალხი ესტეტიურად.

მაშ, გაგიმარჯოთ თქვენ!

და გაუმარჯოს ახალ საქართველოსაც.

ვახტანგ გარიკი.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად. რედ.

როგორც ამ ვაჟბატონებს მოუნდებოდათ, ისე გადაასხვაფერებდენ ყოველივე ცნობას რუსეთის პროლეტარიატის შემოქმედების შესახებ. და ასეთ ყალბ ცნობებს აწვდიდენ ისინი თავიანთ გაზეთების საშუალებით ქართველ მშრომელ ხალხს. ამის გამო თითქმის მთელი ქართველი ერი მოკლებული იყო კომუნიზმზე ნამდვილ და სწორ შეხედულებას.

ასეთი ყალბი ინფორმაციის საშუალებით ქართველ მშრომელებს მრუდე შეხედულება ჰქონდათ საბჭოთა წყობილებაზე და საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურაზე. ამას ნათლად გვიმტკიცებს ქართველი ხალხის შეხედულება წითელ არმიაზე, რომელმაც თავისი სისხლით გაანთავისუფლა ქართველი მაშვრალი ბურჟუაზიის ლაქიების მონობისაგან.

ბევრ ქართველს ისე მიაჩნდა წითელი არმიელი, როგორც რაღაც არა ჩვეულებრივი რამ. მათი შეხედულებით ყოველი წითელი არმიელი მოკლებულია ყოველივე ადამიანის თვისებებს: მათ თითქოს არა აქვთ სინიდისი, გონება, გრძნობა, განათლება, თვითშეგნება და სხვა, ერთი სიტყვით ისინი წარმოადგენენ უბრალო იარაღს, რომლის საშუალებით საბჭოთა მთავრობა ახორციელებს თავის ველურ მიზნებს და სხვა. მე-XI-ტე წითელ არმიის თბილისში შემოსვლამ ბევრ ქართველს გაუქარწყლა ის ყალბი შეხედულება კომუნიზმზე და კერძოდ წითელ არმიაზე, რომელიც მათ ჰქონდათ მენშევიკ ლაქიების წყალობით. როგორც ეხლა ბევრი ქართველთაგანი გულწრფელად აღიარებს, ბოლშევიზმი არც ისეთი „ველური“ მოძრაობა ყოფილა, რომელსაც უნდა გაურბოდეს ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი. ისინი უკვე რწმუნდებიან, რომ პროლეტარიატისგან შემდგარი წითელი არმია არ არის უბრალო ბრმა იარაღი, არამედ ეს არის შეგნებული, გათვითცნობიერებული საბრძოლო ძალა, რომელიც სრულის შეგნებით ემსახურება ხალხის უმრავლესობის, ჩაგრულ პროლეტარიატთა ინტერესებს. დღეს მენშევიკ „სოციალისტების“ მიერ „მოწამლული“ ხალხი, თანდათან ერკვევა მდგომარეობიდან და ნათლად ხედავს იმ განსხვავებას კომუნიზმის შესახებ, რომელიც არსებობს სინამდვილეში და მენშევიკების ყალბ ინფორმაციის შორის. ორშაბათს, 28 თებერვალს თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთათვის ვრცელი და მეტად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საბჭოთა რუსეთის საერთო მდგომარეობაზე და კერძოდ რუსეთის ინტელიგენციის შესახებ მე-XI-ტე არმიის პოლიტიკური განყოფილების წევრმა ამხ. როზენგარმა. მან აღნიშნა ოქტომბრის რევოლიუციის სიდიადე, რუსეთის პროლეტარიატის საქმიანობა, თავგანწირვა და ერთგულება სოციალიზმისათვის, რუსეთის ინტელიგენციის გათიშვა ორ ურთი-ერთ შორის მოპირდაპირე ბანაკად და ბოლოს მოუწოდა დამსწრე სტუდენტობას დადგომოდა იმ სწორ და ნამდვილ გზას, რომელსაც ადგია რუსეთის პროლეტარიატი.

ჩვენ უპირველეს და აუცილებელ მიზანს უნდა შეადგენდეს, რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს ასეთივე შინაარსის მოხსენებები ფართო მასისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ქართველ ხალხში ის ყალბი შეხედულება კომუნიზმზე, რომელიც ჩანერგილია მათში მენშევიკ-„სოციალისტების“ წყალობით.

ი. თ—ძე.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტთა შორის.

10 მარტს ყოფილ ქალაქის გამგეობის ბინაზე შრომის სახალხო კომისრის ვ. დუმბაძის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი კრება ქალაქ თბილისის აქტიურ მომუშავე კომუნისტებისა. დღიურ წესრიგში იყო: მიმდინარე მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. მოხსენება წაიკითხა ამხ. ფილიპე მახარაძემ. აგრეთვე ილაპარაკეს: ამხ. ს. ორჯონიკიძემ და ამხ. ელიავამ. კრებამ დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა რუსეთის კომუნისტურ პარტიის მეათე ყრილობას შემდეგი შინაარსის: პირველი ლეგალური კრება ქ. თბილისის საქართველოს სატახტო ქალაქის—ლეგალურ მოწვევის [illegible] თა აღფრ[illegible] ნებელი მ ესალმება რუ[illegible] თის [illegible] პარტიის ნამდვილ მეათე [illegible] რომლის იდეები და მუშაო[illegible] გვახსოვს ჩვენ წინაშე მუშაო[illegible] ამხ. [illegible] ენინის გამო [illegible] [illegible] ბა კრებამ მიიღო [illegible] ის ცენტრალურ კომ[illegible] რომელიც [illegible] დასამტკიცებლად წარუდგენს შემდეგ კრებას.

მკითხველების ფურცლები

მენშევიკების ინფორმაციის შესახებ.

როგორც ცნობილია, ისე მენშევიკ „სოციალისტების“ ბატონობის დროს, ყოველივე [illegible] [illegible] მასისათვის დამალული, ან თავისებურად გადაკეთებული იყო. არც ერთი სწორი ცნობა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაზე მათ არ მიუწოდებიათ ხალხისათვის,

მუშათა ცხოვრება

საკულტურო-განმანათლებელი მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში.

პროფ. კავშირებთან ახლად დაარსებული „კულტპროსვეტი" შეუდგა საკულტურო-საგანმანათლებლო კომისიის მოწყობას. კომისია ქარხნებში და საწარმოვო დაწესებულებებში მოაწყობს საკულტურო საგანმანათლებლო იაჩეიკებს. პირველყოვლისა გამოკვლეული იქნება წერა-კითხვის უცოდინარ მუშა მოსამსახურეთა რიცხვი და მათთვის გაიხსნება კურსები წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. პროფ. კავშირების საბჭოსთან მოეწყობა ექსპედიცია პროფ. კავშირებში გაზეთების გასავრცელებლად. შემუშავებულია გეგმა პროფესიონალური მოძრაობის კურსების დასაარსებლად იმ ვარაუდით, რომ კურსებზე 50 მსმენელი იქნება თვეში. ეს სკოლა მოამზადებს პროფესიონალურ მოძრაობის მომუშავეთ. კურსებზე იქნებიან პროფ. კავშირის წარმომადგენლები, რომელთაც სწავლის დროს შეინახებათ ჯამაგირი და მიეცემათ ბინა და სასმელ-საჭმელი. ყველა საკულტურო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც აქამდის არსებობდნენ, კვლავ დარჩებიან. მუშათა კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის გამგეთ დროებით დაინიშნა ამხ. შარიქიანი. შეუდგნენ ცენტრალურ მუშათა კლუბის რეორგანიზაციას. ახლო მომავალში შეუდგებიან პროფ. კავშირებს შორის წარმომადგენლების ბილეთების განაწილებას. ამასთან ბილეთების განაწილება იქნება ჯერით. „კულტპროსვეტი" იმყოფება მუშათა სასახლეში, მეოთხე სართული, № 50.

— —

9 მარტს, 1921 წ. მიხეთა ქალაქის პირველ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრებას დაესწრო 200 მუშა მოსამსახურე, თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ამხ. ალექსიძე, მდივნად მეშვერიძე. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები;

1) მოხსენება ძველი კომიტეტის თავმჯდომარის.

2) არჩევნები მუშათა საბჭოებისათვის.

3) ახალი კომიტეტის არჩევნები.

მოხსენებამ კამათი გამოიწვია და გამოითქვა უკმაყოფილება ძველი კომიტეტის მოქმედების შესახებ.

მუშათა საბჭოებისათვის დელეგატებათ არჩეულ იქნა 15 კაცი.

ამ პირთა საერთო კრებამ მიანდო თავიანთ შორის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს არჩევა. საბჭოში ხმის უმეტესობით გავიდნენ 1) სამსონიძე ვ., 2) სვანიძე ტ., 3) ბრეგვაძე ი., 4) ბუდიკოვი მ., 5) ქუმბურიძე კ.

მათ თავიანთ შორის აირჩიეს პრეზიდიუმში შემდეგი პირნი: 1) თავმჯდომარედ სამსონაძე ვ., 5) მის ამხანაგათ ბუდიკოვი მ., 3) მდივნათ სვანიძე ტ.

საბჭოში 3 კომუნისტია, ერთი თანაგრძნობი და ერთიც სოც.-ფედერალისტი.

— —

ტელეგრაფისა და ფოსტის მსახურთა შორის.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მოსამსახურეთა კომიტეტის სხდომაზე 12 მარტს, კომუნისტურ პარტიის იაჩეიკის წევრებთან ერთად, პარტიულ საკითხების გარდა გარკვეულ იქნა ზოგიერთი სამეურნეო საკითხები. დადგენილ იქმნა სადილების რიცხვი გადიდდეს 1000 მდე. მიენდო პრეზიდიუმს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, გახსნას კოოპერატივი ფოსტა-ტელეგრაფის მსახურთა სურსათის მოსამარაგებლად. საბინაო საკითხის მოსაგვარებლათ, რომ ყოველივე მუშაკი ფოსტისა და ტელეგრაფის უზრუნველ იყვეს ბინით, არჩეულ იქმნა საბინაო სამეული".

— —

თფილისის პრ[illegible] მუშ[illegible] თა პლე[illegible]

შაბათს, 12 [illegible] „მინისტრის" დ[illegible] განხილულ[illegible] რთა პირ[illegible] სხდომის [illegible] დუმამდე. მა[illegible]

3 ც. კ. სახელით მიესალმა მას. აქ შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვენ ამხ. ოდილავაძემ,—თერგის ოლქის პ. კ. სახელით და ამხ. არჩ. მიქაძემ—საერთაშორისო წითელი პ. კ. სახელით მოსკოვიდან. დაბოლოს გამოვიდა ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც მისალმების შემდეგ გააკეთა ვრცელი მოხსენება შემდეგ თემაზე: „მიმდინარე მომენტი და პროფესიონალურ კავშირთა მოვალეობა საბჭოთა საქართველოში".

მოხსენება შინაარსით საგ. ყოველ მხრივ აწონილი და გამომუშავებული გამოდგა, რამაც სხდომაზე—მიუხედავათ იმისა, რომ იყო სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენლებიც,—ერთსულოვანი კმაყოფილება დაბადა, დიდი მოწონება გამოიწვია, ამას ამტკიცებდა ხშირ ხშირი, სიტყვის შემწყვეტი აპლოდისმენტები.—„დღეიდან თქვენ,—დაასრულა ამხ. ორჯონიკიძემ,—თბილისის პროფესიონალური კავშირები, სტოვებთ, გამოდიხართ ცოცხალ გვამათ ქცეულ მე-2 რე ინტერნაციონალის წევრობა—ხელმძღვანელობიდან და დგებით 3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ; თქვენი მუშაობის კურსი,—ამღზრველი, კომუნისტური სულის გამომწვევი მუშებში,—დღეიდან მიმართული იქნება მოსკოვში არსებულ საერთაშორისო წითელი პროფესიონალურ კავშირებისაკენ".

მოხსენების დასასრულს მიღებულ იქმნა სამოქმედო ხაზის აღმნიშვნელი ერთსულოვანი რეზოლიუცია. (რეზოლიუცია დაბეჭდილი იქნება ცალკე)

ამას გარდა სხდომამ მიიღო რეზოლიუცია ორგანიზაციული მუშაობის შესახებ ამხ. გ. ყურულიშვილის მიერ გაკეთებულ მოხსენების და მიხედვით. შედგენილ და წაკითხულ იქმნა, რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკანურ ქვეყნებში არსებული პროფესიონალური კავშირებისადმი მისასალმებელი დეპეშები, რომლის გაგზავნა მიენდო სხდომის პრეზიდიუმს.

სხდომის დასასრულს არჩეულ იქმნა პლენუმის ალმასკომი 13 ამხანაგებისაგან: 1) ლ. დუმბაძე, 2) ნ. ქუქნაძე, 3) გ. ყურულიშვილი, 4) გ. ნუცუბიძე, 5) ვ. მაშკევიჩი, 6) პ. საბაშვილი, 7) არ. მიქაძე, 8) ს. ჯუღელი, 9) ატოევი და სხვები.

ს—ტი.

— —

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ გამოტანილი რეზოლიუცია.

კაპიტალისტურ ქვეყნის რღვევა მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის გადაჭრილ წინააღმდეგობათ, რომელიც უფრო და უფრო მწვავდება, შეურყევლად მიჰყავართ ახალ იმპერიალისტურ სასაკლაოსკენ, და არც ბურჟუაზიულ ქვეყანას და არც მათ თანამსახურთ მე 2 ე ყვითელ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს —ძალა არ შესწევთ თავიდან აიცდინონ მომწიფებული კონფლიქტი. ამ დროს რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით იზრდება და ფართოვდება საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა კლასისა, აცლის რა ყვითელ ინტერნაციონალს რაზმს-რაზმზე, საქვეყნო იმპერიალიზმს წინ უყენებს ახალ ძლიერ ძალას, რომლითაც აწარმოებს მის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. ამ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა და მისი საერთაშორისო მდგომარეობა დღითი-დღე მაგრდება. საბჭოთა-რუსეთის მფარველობის ქვეშ, მასთან მჭიდროთ დაკავშირებული განაპირა რესპუბლიკები,—აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო, რომლებიც მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის ოჯახში შევიდნენ, ვითარდებიან და მაგრდებიან. საბჭოთა საქართველოს მდგომარეობა, რომელიც განთავისუფლდა მენშევიკურ მთავრობის და ანტანტის უღლისაგან, შეიძლება მტკიცე იქნეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მუშები და გლეხები მჭიდროთ შეკავშირებული მიემხრობიან პროლეტარიატს და მის მებრძოლ ავანგარდს,—რუსეთის მუშათა კლასს, რომელიც იბრძვის იმპერიალისტურ ქვეყანას. მხოლოდ საბოლაო ჩამოშორება ანტანტისგან და მჭიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან, გაამაგრებს საბჭოთა საქართველოს და უზრუნველჰყოფს მას ნამდვილ დამოუკიდებლობას.

საქართველოს პროლეტარიატი მენშევიკურ მმართველ პარტიის ზეგავლენით ჩათრეული იყო ყვითელ ინტერნაციონალის ქაობში და არ ემხრობოდა მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ახლა, მენშევიკურ რეაქციისგან განთავისუფლებული, თავისუფალ საქართველოს თავისუფალი პროლეტარიატი, შედის საქვეყნო რევოლიუციონურ პროლეტარიატის ოჯახში; საქართველოს პროფესიონალური კავშირები ემხრობიან წითელ პროფ. კავშირთა საერთაშორისო საბჭოს და მჭიდროთ დაკავშირებული საქვეყნო პროლეტარიატთან აწარმოებენ შრომის განმათავისუფლებელ ბრძოლას კაპიტალთან საქართველოს პროფ. კავშირმა უნდა მოუყაროს თავი ყველა მწარმოებელ მშრომელთა და დაისახოს ის ახალი მიზნები, რომელიც დასახული აქვს ერთად—კავშირებს ყველა საბჭოთა ქვეყნებში. ეს მიზნები მდგომარეობს იმაში, რომ მიიღონ აქტიური და უახლოესი მონაწილეობა წარმოების ორგანიზაციასა და გამგებლობის საქმეში და შექნან პროფ. კავშირებისგან მწარმოებელი კავშირები, გარდაქმნან კომუნიზმის სკოლათ. პროფესიონალური კავშირები უნდა გარდაიქმნან ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ბაზათ, საძირკვლათ და ჩაითრიონ მუშათა მასა სოციალისტურ აღშენებლობის საქმეში, გადააქციონ მუშათა კლასი მუშა გლეხურ საბჭოთა საქართველოს დასაყრდნობ ფუძით.

(ეს რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ).

— —

11 მარტს, საბჭოთა საქართველოს რკინის გზის სამმართველოში შესდგა პირველი სხდომა ახლათ არჩეულთა რკ. გზ. პროფ. კავშირთა კონფერენცია რკ. გზ. პროფ. კავშ. ცენტრ. კომიტეტის ასარჩევათ, რომელსაც დაესწრო 52-მდე დელეგატი. ყრილობაზე გამოირკვა, რომ წინანდელი კავშირები, რომელშიაც მენშევიკები მეფობდნენ, მათი გაქცევის დროს, გაუნადგურებიათ და თან გაუტაცნიათ მთელი ქონება და ფული კავშირებისა, ე. ი. დაწყებული სურსათ სანოვაგიდან და დასარიგებელი კავშ. მუშა-მოსამსახურის ჯამაგირიდან დატოვებული უბრალო ქაღალდი და საწერ კალმამდე. ამის გამო, კავშირთა მუშა-მოსამსახურეები განიცდიან დიდ ნივთიერ გაჭირვებას, აგრეთვე კავშირებში საქმის წარმოების მოწყობა ძლიერ ფერხდება, ვინაიდან ყოველ-გვარი ინვენტარი და კანტორის მოსაწყობი მასალა განადგურებული და გატაცებულია მენშევიკების მიერ.

ამის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა: გამოცხადდეს პროტესტი და ზიზღი პრესაში მენშევიკების მიერ საზიზღარი მოქმედებისა გამო, რომლის მსგავსი არც ერთ ხულიგანს არ ჩაუდენია.

აგრეთვე კონფერენცია მოუწოდებს მთელ ხაზის მუშა მოსამსახურეებს შეკავშირდნენ და შექმნან ადგილობრივათ პროფ. კავშირები და დაიცვან გაძარცვისაგან რკინის გზის ქონება და დეპოს სახელოსნოები, აგრეთვე მიიღონ ენერგიული მონაწილეობა წარმოების და ლიანდაგზე მოძრაობის აღდგენაში, ვინაიდან რკინის გზა წარმოადგენს ძარღვს საბჭ. საქართ. რესპუბლიკისა, ურომლისოთ სურსათ სანოვაგის მოწესრიგება ყოვლად შეუძლებელია; ჩვენი ინტერესები მოითხოვს საჩქაროთ იქნეს რკინის გზის წარმოება აღდგენილი. მეორე მხრივ რკინის გზა წარმოადგენს შრომელთა სახელმწიფოს საკუთრებას, რომლის ერთი წევრთაგანი ჩვენცა ვართ. ამიტომ **ჩვენი ინტერესები მოითხოვს მის დაცვას და აღდგენას.** აგრეთვე კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება პოლიტიკურ მომენტზე, სადაც ნათქვამია: დღევანდელი დღე არის გარდამავალი, ესე იგი ძველ დამპალ ბურჟუაზიულ წყობილებიდან ახალსოციალისტურ წყობილებაში გადასვლისა, რომელთა შორის ხდება გადამწყვეტი ბრძოლა. სოციალისტური წყობილება, ეს შრომის სამეფოა, რომლისათვის იბრძვის მთელი მშრომელი მასსა და რომლის განხორციელება შეიძლება მხოლოთ და მხოლოთ პროლეტარიატის დიქტატურით, რომლის ორგანოა—საბჭოთა მართველობა. ამიტომ ჩვენ საბჭ. საქარ. მთავრობას უძღვნით სალამს, ვუსურვებთ მას მაგრათ და გაბედულათ განაგრძოს ჩვენი საერთო საქმის წარმოება.

პარმენი.

მიტინგი ავლაბრის კლუბში. ამხ. ელისაბედაშვილის გამოსვლა.

13 მარტს ავლაბრის მუშათა კლუბში გაიმართა მუშათა მიტინგი. მიტინგზე მოხსენებით „წითელ არმიის მიზნის და მოვალეობის" შესახებ გამოვიდა საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ელისაბედაშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წითელი არმია თავის კლასიურ ორგანიზაციით სჯობნის ყველა სხვა არმიებს და მისი მიზანია, მთელ მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციას იმსახუროს. წითელი არმია იცავს მშრომელთა ინტერესებს და დაჩაგრულ ხალხს ბურჟუაზიის და გარეშე იმპერიალისტების ძალმომრეობისაგან იფარავს.

დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს დაარსებისთანავე მიღებულია ზომები საქართველოს წითელ ლაშქრის შედგენისთვის და ეს უფრო გააძლიერებს და მეტ სიმტკიცეს მისცემს ინტერნაციონალურ არმიას შრომის განთავისუფლებისათვის.

კლუბში დამსწრე მუშებმა მოხსენება დიდი გულისყურით მოისმინეს. მოხსენების შემდეგ ამხ. ელისაბედაშვილს მისცეს შემდეგი შეკითხვა: „საქართველოს წითელი არმია შესდგება მხოლოდ ქართველებისაგან, თუ სხვა ეროვნებებიდგანაც". მომხსენებელმა ამაზე უპასუხა: საქართველოს წითელი არმია შესდგება ყველა ეროვნებისაგან, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, ყველა მუშა და გლეხებისაგან, ყველა მებრძოლებისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის და კომუნისტურ წესწყობილების განსახორციელებლად. დასასრულ მუშათა მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა და გლეხთა წითელი არმია არის პროლეტარიატის დიქტატურის — არმია. მისი ძლევამოსილი მოძრაობა ამაგრებს და ამტკიცებს კომუნიზმის საფუძველს. უკანასკნელი გამარჯვება მენშევიკების არმიაზე იმის მომასწავებელია, რომ აქაც დამოუკიდებელ საქართველოში საძირკველი ეყრება მშრომელთა მასის დიქტატურას. გაუმარჯოს წითელ არმიას—ჩვენ სიამაყეს. გაუმარჯოს მომავალ ჩვენ წითელ არმიას—საბჭოთა საქართველოს წითელ არმიას. გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას". რეზოლიუციის მიღების შემდეგ მიტინგი ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

მისალმებანი

სალამი თურქესტანიდან.

საქართველოს რევკომმა შემდეგი დეპეშა მიიღო ტაშკენტიდან. ნაციონალურ უმცირესობის განათლების მუშაკთა პირველი კონფერენციისაგან, ხელმოწერილი კონფერენციის თავმჯდომარის პალიანტის მიერ: **ნაციონალურ თურქესტანის უმცირესობათა განათლების მუშაკთა** პირველი კონფერენცია მიესალმება საქართველოს მშრომელ მასის ნამდვილ წარმომადგენლებს, იმ მასის, რომელმაც უარჰყო გამყიდველთა ხელისუფლება პროლეტარიატის ინტერესებისათვის და რომელსაც მიჰყავს პროლეტარიატი მესამე ინტერნაციონალისაკენ. გაუმარჯოს გამყიდველთა ბრჭყალებიდან განთავისუფლებულ საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, რომელიც ანთავისუფლებს მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ!

ოსმალეთის კომუნისტების სალამი.

საქართველოს რევკომს მოუვიდა ოსმალეთის კომ. პარტიის ც. კ. უცხოეთ ბიუროს თავმჯდომარის ამხ [illegible] ხელმოწერილი შემდეგი დეპეშა: „უზღვავით სალამს საქართველოს გმირ პროლეტარიატს, რომელმაც ჩამოაგდო ანტანტის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი, ოსმალეთის კარებთან მდგომი ქართველი მენშევიკები. გესალმებით საქართველოს რევკომის წევრებს, რომლებმაც მოუტანეს ბედნიერება და თავისუფლება ქართველ პროლეტარიატს და სულით და გულით ვუსურვებთ მათ ბრწყინვალე გამარჯვებას. გაუმარაჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! დაღუპვა ანტანტას და მის დამქაშებს!"

სალამი ახალციხიდან.

საქართველოს რევკომმა ამხ მიტინის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დეპეშა მიიღო ახალციხიდან: (ასლი გაეგზავნა ამხ. ლენინს მოსკოვში და აზერბეიჯანის და სომხეთის რევკომს). „ქ ახალციხისა და მისი ოლქის მოქალაქენი მიესალმებიან მშრომელთა მენშევიკურ ცარიზმის უღლიდან განთავისუფლებას და თქვენ (ამხ ლენინს), როგორც პროლეტარიატის მეთაურს. დღიდან ახალციხე და მისი მაზრა საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

სალამი საქართველოს რევკომს.

3) ქ. ბორჯომის მუშათა და გლეხთა კრება დიდებულ მსოფლიო დავაში, მსოფლიო ბურჟუაზიის ერთის მხრივ, და მთელი ქვეყნიერების გლეხთა და მუშათა მეორე მხრივ—საქართველოს მუშებს და გლეხებს არ შეუძლიანთ დარჩნენ გარეშე გულგრილ მოწმებათ. საქართველოს გლეხები და მუშები დარწმუნებულნი არიან, რომ ინტერესები სოციალისტური საქართველოსი და მსოფლიო პროლეტარიატისა ერთმანეთს შეესაბამება. საქართველოს მუშებს და გლეხებს ღრმათ აქვთ შეგნებული, რომ რევოლიუციის ლოზუნგებს მოაქვთ განთავისუფლება ყველა დაჩაგრულ კლასებისა და ერებისთვის.

— ბორჯომის რაიონის რკინის გზის მსახურთა საერთო სხდომაზე 10 მარტს მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ აღთქმას სდებენ მთელი ძალღონით მხარი დაუჭირონ და დაიცვან საბჭოთა მთავრობა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. „გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას მეთაურებს.

2) შრომის ჯგუფი ბორჯომის ქარხნების და რაიონისა გილოცავთ განთავისუფლებას კაპიტალის მომხრეთა მენშევიკების მძიმე უღლისაგან. ვუძღვნით ჩვენს მთავრობას ძმურ ამხანაგურ სალამს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ამხ. ლენინს და ტროცკის.

სარედაქციო კოლეგია

დაიკარგა

ბაშფორთი. მპოვნელს ვთხოვ გადმომცეს ფილოსოფიის ქ. № 2. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვლება. ე. ფ. ბარმინისა.

შოფერ დათიკო სვანიძის
და მისი თანაშემწის
არშენაკ ამირჯანოვის
მშობლები აუწყებენ ყველა ამხანაგებს, მათი შვილების ტრაგიკულ სიკვდილის შესახებ, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს, 13 ა. წ. მარტს. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6½ საათზე, განსვენებულთა ბინაზე: პირველის: ოსიპოვსკის შესახვევი, საკ. სახლში; მეორის—მიხეილის პრ. № 23. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გაზ. „კომუნისტი"-ს მიღება შეიძლება გრუპავროსტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).

სტამბა, კომუნისტური ქ. № 4